

**შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოში  
საავტორო უფლებების დაცვის, პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების,  
პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საავტორო უფლებების დარღვევის, პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმების (შემდგომში-დოკუმენტი) მიზანია

ა) დოკუმენტით გათვალისწინებული პროცედურების მეშვეობით ხელი შეუწყოს სწავლებისა და კვლევის ობიექტურ განხორციელებას, პერსონალის აკადემიურ თავისუფლებას და მიუკერძოებლობას, სტუდენტებში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრებას.

ბ) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა და შინაგანი პასუხისმგებლობის დონის, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების დანერგვისათვის ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას.

2. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს შრომის კოდექსის“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

3. დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალზე, ასევე სტუდენტებზე;

**მუხლი 2. საავტორო უფლებები**

1. საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერებისა და ლიტერატურის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგზე, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავტორიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა;

2. საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა.

3. საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და

ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.

#### **4. მეცნიერებისა და ლიტერატურის ნაწარმოებებია:**

ა) გადამუშავებული ნაწარმოები, კერძოდ, თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პწკარედი, ადაპტაცია, მიმოხილვა, კომპილაცია და მეცნიერების და ლიტერატურის სხვაგვარი გადამუშავება;

ბ) გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა დაცვა ხორციელდება მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს ის ნაწარმოებები, რომლებსაც ემყარებიან ან შეიცავენ ისინი.

გ) გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებთა დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად.

#### **5. საავტორო უფლება მეცნიერებისა და ლიტერატურულ ნაწარმოებებზე**

ა) საავტორო უფლება მეცნიერებისა და ლიტერატურულ ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნა ორმა ან ორზე მეტმა პირმა (თანაავტორობა), ერთობლივად ეკუთვნის თანაავტორებს, იმის მიუხედავად, ეს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას, თუ შედგება ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. თანაავტორთა ურთიერთობა განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

გ) არც ერთ თანაავტორს არა აქვს უფლება, აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება საამისოდ საკმაო საფუძვლების არსებობის გარეშე.

დ) თანაავტორთა შეთანხმებით ნაწარმოების გამოცემა ან საჯარო გაცნობა შეიძლება განხორციელდეს ერთობლივი ფსევდონიმით.

ე) ყოველ თანაავტორს აქვს უფლება, გამოიყენოს ნაწარმოების ის ნაწილი, რომელიც მის მიერ არის შექმნილი და რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ვ) თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოების ნაწილი ჩაითვლება დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონედ, თუ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწარმოების სხვა ნაწილების გარეშეც.

6. საავტორო უფლების დარღვევად ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესის შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა ან სხვაგვარად შესრულება.

### **მუხლი 3. აკადემიური ეთიკის დარღვევის სახეობები**

1. პლაგიატი, რაც გულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი /მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული, წარმოდგენილი ნაშრომი/ თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარის წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე.

2. კომპილაცია, რაც გულისხმობს საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების, ნაშრომების გამოყენებას, დაჯგუფებას, წყაროების საკუთარი დამუშავების და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნით.

3. ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას.

4. თვითპლაგიატი, საკუთარი ნაშრომის ხელმეორედ გამოყენება ორიგინალი წყაროს მიუთითებლად.

### **მუხლი 4. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების პროცედურები და მექანიზმები**

1. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ პროცედურებს:

ა) აკადემიური წერის კულტურის დანერგვა;

ბ) თანამშრომელთა, პროფესორ/მასწავლებელთა და სტუდენტთა ინფრომირება პლაგიატთან დაკავშირებით;

გ) საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართული პირების მოტივაცია და წახალისება პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით;

დ) სამუშაო ჯგუფების შექმნა პლაგიატთან ბრძოლის მიზნით;

ე) სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით პლაგიატის აღმოჩენა და შესაბამისი რეაგირება წინამდებარე წესის შესაბამისად;

ვ) საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას ხელმძღვანელის, რეცენზენტის ინფორმირება პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი ზომების მიღების თაობაზე;

2. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები

1. ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი, ჟურნალის რედაქტორი, რედკოლეგიის წევრი და სხვ. წერილობით თანხმობას აცხადებენ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში იმოქმედონ უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების შესაბამისად;

2. პერსონალის და სტუდენტების აკადემიური ეთიკის ნორმების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, აღმომჩენი პირი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე, განცხადებას უნდა დაერთოს ნაშრომი და მითითებული უნდა იყოს დედაწყარო.

3. აკადემიური ეთიკის დარღვევის აღმოჩენის შესახებ განცხადების საფუძველზე რექტორის სამართლებრივი აქტით იქმნება დროებითი კომისია აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის საკითხის განხილვის და შესაბამისი ზომების მიღების მიზნით.

4. კონკრეტული დარღვევის დროს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება დროებითი კომისიის შემადგენლობა, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით, როგორც უნივერსიტეტის პერსონალისგან (თუკი არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი), ასევე გარეშე პირებისგან.

5. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ მოსარჩელე/განმცხადებელი და პირი, რომლის წინაშეც დაწყებულია დისციპლინური წარმოება;

6. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 5 წევრით, უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის, სტუდენტის ან/და სხვა მოწვეული პირით;

## **მუხლი 5. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დადგენისა და რეაგირების კომისიის უფლებამოსილება**

1. კომისია უფლებამოსილია

ა) განსაზღვროს, აღიძრას თუ არა დისციპლინური დევნა საკუთარი ინიციატივით ან შემოსული ინფორმაციის (განცხადება/საჩივარი) საფუძველზე;

ბ) ჩამოართვას ახსნა-განმარტებები საჩივრის ავტორს და პირს, რომლის წინააღმდეგაც შემოსულია საჩივარი, გაესაუბროს მხარეს და მოითხოვოს ინფორმაციის დაზუსტება, დოკუმენტების და შესაბამისი მასალების წარდგენა;

გ) გაითვალისწინოს შემოსული შუამდგომლობები და დამატებითი ახსნა-განმარტები. ინფორმაციის ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში, ის გახდება დისციპლინური დევნის განხორციელების საფუძველი;

დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური დევნის) არ აღძვრის შემთხვევაში, მომჩივანს დაუბრუნოს საჩივარი და დასაბუთებული გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ;

ე) განახორციელოს დისციპლინური დევნა, განიხილოს საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

ვ) დისციპლინური დამრღვევისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, შესაბამისი გადაწყვეტილება აღსრულებისათვის წარუდგინოს დაწესებულების რექტორს.

2. დისციპლინური დამრღვევის მონაწილეობა საქმის განხილვაში:

ა) დისციპლინური დამრღვევის დასწრება საკითხის განხილვაზე სავალდებულოა. მას უფლება აქვს დაასაბუთოს საკუთარი ქმედების შესაბამისობა ამ დოკუმენტის ძირითად პრინციპებთან და წარმოადგინოს აღნიშნული ქმედების მოტივაცია;

ბ) თუ პირი არ გამოცხადდება სხდომაზე, სხდომა უნდა გადაიდოს 10 დღით. თუ პირი არასაკატიო მიზეზით მეორედ არ გამოცხადდება განმეორებით დანიშნულსხდომაზე, გადაწყვეტილების მიმღები ორგანო/პირი უფლებამოსილია განიხილოს საქმე დისციპლინური დამრღვევის დასწრების გარეშე და სათანადო საფუძველის არსებობის შემთხვევაში, გამოიტანოს გადაწყვეტილება და დააკისროს დისციპლინური სახდელი;

გ) თუ პირი ვერცხადდება სხდომაზე საკატიო მიზეზით, საკითხის განმხილველ კომისიას უნდა წარედგინოს მისი გამოუცხადებლობის საკატიო მიზეზის ამსახველი დოკუმენტი. აღნიშნულ შემთხვევაში დისციპლინურმა ორგანომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა;

დ) საქმის განხილვის შეჩერების მიზეზის ამოწურვის შემდეგ, კომისია განაახლებს საქმის განხილვას.

3. კომისიის მუშაობა უნდა იყოს კონფიდენციალური და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დადასტურებამდე ზიანი არ უნდა მიაყენოს მეცნიერის /სტუდენტის/ თანამშრომლის პრესტიჟს.

4. კომისია ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

## **მუხლი 6. დისციპლინური სანქციების სახეები**

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, დამრღვევი პირის მიმართ შეიძლება განისაზღვროს შემდეგი სანქციები:

ა) მიეცეს გაფრთხილება;

ბ) დაწესდეს სპეციალური მონიტორინგი აუხლოესი 1 წლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო და სხვ. საქმიანობაზე;

გ) შეუწყდეს შრომითი კონტრაქტი;

დ) გაუქმდეს სამაგისტრო ნაშრომი.

